ინტერნეტ-ბანკის მომსახურებაში დამატებითი სერვისის შეტანა

გიორგი ხატიაშვილი, მედეა თევდორაძე, თამარ ლომინაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზუმე

განხილულია ბანკის ელექტრონული სერვისები, კერძოდ ინტერნეტ-ბანკი და მისი სერვისის სრულყოფის საკითხი. ნაშრომში შემოთავაზებულია ფიზიკური პირის მიერ იურიდიული პირის რეგისტრაციის ვარიანტი, რომელიც საშუალებას იძლევა დაიზოგოს დრო და ენერგია რეგისტრაციის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული სერვისი. ეინტერნეტ-ბანკი. ფიზიკური და იურიდიული პირის რეგისტრაცია.

1. შესავალი

დღეისათვის ბანკების ელექტრონულ სერვისებში ინტერნეტ-ბანკის მოდულში სრულად არის გაწერილი ფიზიკური პირის მომსახურების სპეციფიკა (სტანდარტები). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ინტერნეტ-ბანკი საქართველოს ბაზარზე ჯერ ისევ განვითარების მდგომარეობაშია, არსებობს მთელი რიგი საკითხები, რომლებიც მოითხოვენ სრულყოფას. ამასთან დაკავშირებით მოცემულ სტატიაში შემუშავებულია ფიზიკური პირის მიერ ინტერნეტ-ბანკში იურიდიული პირის რეგისტრაციის სერვისი, რომელიც შესაძლებელია მოახდინონ იმ ფიზიკურმა პირებმა, რომლებმაც განახორციელეს აღნიშნული იურიდიული ორგანიზაციის რეგისტრაცია საჯარო რეეტრში.

2. ძირითადი ნაწილი

იმისთვის, რომ ნებისმიერი ფიზიკური პირი დარეგისტრირდეს იურიდიულ პირად და განახორციელოს მისთვის მომგებიანი საქმიანობა ინტერნეტ-ბანკინგის საშუალებით, დღევანდელი მდგომარეობით არსებობს განსაზღვრული ეტაპები, რაც ქმნის გარკვეულ სირთულეებს და, ამასთან ერთად, რეგისტრაცია იწელება დროში. ყოველივე ეს იქედან გამომდინარეობს, რომ, მომხმარებელმა რეგისტრაციისას ბანკში უნდა გაიაროს მთელი რიგი პროცედურა. უპირველეს ყოვლისა, კლიენტმა ბანკში უნდა წარადგინოს: კლიენტის დასახელება ქართულად; კლიენტის დასახელება ლათინურად; საიდენტიფიკაციო კოდი; რეგისტრაციის (იურიდიული) მისამართი; რეგისტრაციიის თარიღი; მარეგისტრირებელი ორგანო; კლიენტის საქმიანობის სფეროს აღწერა; დირექტორების/ხელმძღვანელების მონაცემები; სამეთვალყურეო საბჭოს წევრების და/ან პარტნიორების/დამფუძნებლების და/ან ბენეფიციარის ვინაობა/დასახელება და მონაცემები; ინფორმაცია რეზიდენტობის შესახებ; ხელმოწერის ნიმუშები; ბეჭდის ნიმუში (მისი არსებობის შემთხვევაში); მინდობლობა (მისი არსებობის შემთხვევაში).

საბოლოოდ კი მივდივართ შემდეგ სიტუაციამდე. გართულებული მომსახურების გამო, ინდივიდუალური პიროვნება ხარჯავს ბევრად მეტ დროს, ვიდრე ეს, შესაძლებელია, საჭირო იყოს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიზნესში დრო - ერთ-ერთი არამატერიალური საწარმოო რესურსია, და დროში ოპერატიულ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისთვის. ბანკში, გართულებული პროცედურების გამო, დროსთან ერთად იზრდება დანახარჯი, რომელიც გამომდინარეობს გაწეული მომსახურეობიდან. პროცედურული საფეხურები ასევე არ გამორიცხავენ ტექნიკური ხარვეზის გაპარვის შესაძლებლობას, რომლის შემთხვევაშიც დროითი რესურსი კიდევ არაოპტიმალურად იხარჯება. ასეთის არსებობის შემთხვეაში კი უკმაყოფილო პირების რაოდენობა ბანკთან ურთიერთობაში იზრდება და ადგილი აქვს ბიზნესის დესტიმულაციას.

არსებული პრობლემა, წარმოქმნილი რიგები საჯარო რეესტრში და ბანკში გახდა საბაბი ახალი იდეის წარმოშობისა, რათა გამარტივებულიყო ფიზიკური პირის რეგისტრაცია იურიდიულ პირად. იდეის არსი კი მდგომარეობს შემდგომში: იმისათვის რომ, ანგარიშის გახსნა და იურიდული პირის რეგისტრაცია მომხმაებელმა მოახდინოს უფრო მარტივად და მოქნილად, აარიდოს თავი მთელ რიგ რთულ პროცედურას, დაზოგოს დრო როგორც ბანკთან ურთიერთობაში ასევე პირად საქმეში და ისარგებლოს მეტი კომფორტულობით, ამასთან ერთად ბანკმაც გააუმჯობესოს თავისი სერვისი, შემუშავებული იქნა მომსახურების ახალი იდეა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას მისცემს, მსგავსი ოპერაციები განახორციელოს ფიზიკური პირის ინტერნეტ ბანკის მეშვეობით. სქემა კი შემდეგნაერია.



ნახ.1. ინტერნეტ-ბანკინგის ზოგადი ინტერფეისი



ნახ.2. ინტერნეტ-ბანკინგის ზოგადი ინტერფეისი დოკუმენტების ატვირთვის ღილაკით

1-ელ ნახაზზე წარმოდგენილია ფიზიკური პირის ინტერნეტ ბანკის ზოგადი ინტერფეისი, სადაც გაწერილია ყველა ის მომსახურება, რომელიც მისცემს საშუალებას ფიზიკურ პირს აწარმოოს თავისი საკუთარი საბანკო მომსახურება იბანკის მეშვეობით.

მე-2 ნახაზზე მოცემულია იდეის რეალიზაცია, სადაც ინტერნეტ-ბანკინგის ზოგადი ინტერფეისის პანელზე ემატება ატვირთვის ღილაკი, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს საშუალება ეძლევა ატვირთოს საჭირო ტიპის დოკუმენტაცია: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში, შპს-ს შემთხვევაში - წესდება), ორგანიზაციის მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში), პირადობის მოწმობის ასლი და სხვა.

აღნიშნული ღილაკით ეკრანზე გამოდის ფანჯარა, სადაც მომხმარებელს საშუალება ეძლევა წინასწარ დასკანერებული და შენახული დოკუმენტი აირჩიოს ბანკში გადასაგზავნად: ბეჭდის ნიმუში, ხელმოწერის ნიმუში, საჯარო რეესტრის ამონაწერი და სხვა. საბუთების ატვირთვის შემდგომ ბანკი ამოწმებს სათანადო დაოკუმენტაციას საჯარო რეესტრის გვერდზე. საჯარო რეესტრის საიტი აძლევს ბანკს საშუალებას გადაამოწმოს მიღებული ინფორმაციის სიზუსტე. ამ მიზნით ველში „მოძებნე კომპანია" საკმარისია კომპანიის - იურიდიული პირის დასახელების ჩაწერა (ნახ.3).



ნახ.3. საჯარო რეესტრის საიტის იურიდიული პირის ძიების ფანჯარა

აღნიშნულის შემდეგად ეკრანზე გამოდის მსგავსი ტიპის ფანჯარა, სადაც სრულად არის ასახული, თუ რა სახის კომპანიაა, თავის საიდენტივიკაციო მონაცემებით და სამართლებრივი სტატუსის აღწერტით (სურ.4). შემოწმების პროცედურის დასრულების შედეგად ბანკი უფლებამოსილია წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე დაარეგისტრიროს იურიდიული პირი და გაუხსნა მას ანგარიშები: უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში.



ნახ.4.საჯარო რეესტრის იურიდიული პირის მონაცემების ფანჯარა

შეიძლება დაისვას კითხვა: თუ რამდენად შესაძლებელია ამ იდეის პრაქტიკაში გადატანა? იქნება კი ის დაცული ჰაკერული შემოტევებისგან და ელემეტარული გაყალბებისგან? რა სახის სისტემა და პროგრამული უზუნველყოფა უნდა დაინერგოს ზემოთაღნიშნული ინოვაციის რეალიზაციისთვის? რათქმაუნდა, პრაქტიკაში ყველა აღნიშნული საკითხის გადაჭრა თანდათანობით უნდა მოხდეს. პირველ რიგში, უნდა შემუშავდეს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.

ერთ-ერთი მარტივი პროცედურა, როგორიცაა ფიზიკური პირის მონაცემების მიწოდება ბანკში განხორციელდება შემდეგი მარტივი გზით. ფიზიკურ პირს თავისი მონაცემები შეჰყავს კომპიუტერში სკანერის საშუალებით, როგორიცაა პირადობის მოწმობის ორივე მხარე, ფაქსიმილიე, ნოტარიულად დამოწმებული წესდება, ბეჭედის ნიმუში, მინდობილობა (მისი არსებობის შემთხვევაში), საიდენტიფიკაციო კოდი, დოკუმენტი მარეგისტრირებელი ორგანოს შესახებ, დირექტორის/ხელმძღვანელის პირადობის დამადასტურებელი მონაცემები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია. ამ გზით ფიზიკური პირი თავის კომპიუტერში ქმნის მონაცემთა ბაზას რომელიც უნდა მიაწოდოს ბანკის სერვერს. ბანკის მონაცემთა ბაზის უსაფრთხოებისთვის აუცილებელია

ყველა დოკუმენტები იყოს PDF ფაილის ფორმატში, რადგან ამ ფორმატში არსებული დოკუმენტი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ დოკუმენტს და არა სხვა სახის რაიმე EXE –ფაილს ანუ გამშვებ ფაილს, რომელზედაც შესაძლებელია მიმაგრებული იყოს ვირუსი.

ამავე დროს ბანკის სერვერზე, სადაც უნდა განთავსდეს კლიენტის მონაცემები, ყენდება დამატებითი ფილტრები, რომლებიც, პრაქტიკულად გამორიცხავენ ბაზაში უნებართვოთ შეღწევის შესაძლებლობას. ბანკში არსებული მონაცემთა ბაზა კონტროლდება სერვერის მიერ, რომელსაც გააჩნია პარარლელურ რეჟიმში მომუშავე დამზღვევი სერვერები, რაც უწყვეტ რეჟიმში მუშაობის და მონაცემთა შენახვის გარანტიაა.

3. დასკვნა

რადგანაც, ბანკის სერვერის გამართული მუშაობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ზომებით, შემუშავებული იქნება სათანადო პროგრამუ;I უზრუნველყოფა და ფიზიკური პირის მონაცემებიც მზად იქნება PDF - ფაილების სახით, მაშინ ზემოდ აღწერილი სერვისის რეალიზაციისათვს რჩება მხოლოდ კლიენტის კომპიუტერის ბანკის ქსელთან კავშირის დამყარება და ინფორმაციის გადაგზავნის პროცედურის მოგვარება. აღნიშნული საკითხი შესაძლებელია გადაიჭრას სათანადო პროგრამული რეალიზაციითა და ინტერნეტის გამოყენებით. ფიზიკურ პირს ინტერნეტ ბანკის საშუალებით ექნება შესაძლებლობა დსკანერებული დოკუმენტები გადაუგზავნოს ბანკს. ეს დოკუმენტაცია, წარმოდგენილი PDF – ფაილის ფორმატში, გაივლის ყველა იმ ფილტრს, რომელიც ბანკის ქსელში იქნება გამოყენებული, და შეინახება ბანკის მთავარ სერვერზე. ამასთან ერთად მოხდება ამ ინფორემაციის დაზღვევა შესაბამისი ხერხების გამოყენებით. მიღებულ ინფორმაციასთან წვდომა ექნება ბანკის ოპერატოს, რომელიც ინფორმაციის დამუშავების მიზნით მიღებულ დოკუმენტაციას გადაამოწმებს საჯარო რეესტრის საიტზე. მას შემდეგ, რაც ოპერატორი ყველა დოცუმენტს გადაამოწმებს, ბანკში იხსნება ანგარიში და იწყება იურიდიული პირის საბანკო პროგრამაში რეგისტრაცია.

ლიტერატურა:

1. www.reestri.gov.ge
2. www.bog.ge
3. www.tbc.ge

INTRODUCTION OF ADDITIONAL SERVICES INTO THE INTERNET BANKING

Khatiashvili Giorgi, Tevdoradze Medea, Lominadze Tamar
Georgian Technical University

Summary

The article deals with electronic services, in particular, internet banking and the question of its improvement. This paper proposes a variant of the registration of a legal entity by an individual, which allows you to save time and energy in the process of registration.

ВВЕДЕНИЕ ДОПОЛНИТЕЛЬНЫХ СЕРВИСОВ В ОБСЛУЖИВАНИЕ ИНТЕРНЕТ-БАНКА

Хатиашвили Г., Тевдорадзе М., Ломинадзе Т.
Грузинский Технический Университет

Резюме

Рассмотрены электронные сервисы, в частности, интернет-банкинг и вопрос его совершенствования. В работе предлагается вариант регистрации юридического лица физическим лицом, который дает возможность сэкономить время и энергию в процессе регистрации.